ერი და თავისუფლება

კავკასია უწინარეს ყოვლისა

მუზარადი

კავკასიელ მუზარადელების ორგანო

ოქტომბერი 1938 წ.

პარიზი

№ 2

„MOUZARADI"
Organe du mouvement liberateur de la
nation Caucasienne

OCTOBRE 1938
PARIS
№ 2

ეროვნული იდეა, რომელიც ქართველ ერის ინდივიდუალობას ღირსეულად გამოხატავს ისტორიაში, რომელიც ღირსეულად გამოთქვამს სულიერ ყოფადობაში, რომელიც შეუქმნის მის ინტერესებს ღირსეულ დაცვის პირობებს — არის მისი თანდაყოლილი **შეფიცულობის** გრძნობის თვისება, რომელიც ისტორიულ ბედის ბრძმედში გამოვლენული **იდეოლოგიურ მსოფლგაგების** სიმაღლემდის ასულა და ქართველი ერის სულიერ სამყაროს სამყოფ ციხე-სიმაგრედ ქმნილა.

(ძლიერების სათავე)

ბრძოლა ეროვნული გაერთიანებისათვის

ქართველთა შორის **უთანხმოება „უპატრონო მკვდარისავით"** დარჩენილია და დამმარხავი არა სჩანს.

რაც მეტი დრო გადის ეს „მკვდარი" უფრო მეტად იხრწნება და ისედაც ლტოლვილთა მძიმე ჰაეროს სწამლავს, აუტანელს ხდის ეროვნულ არსებობას. ამ გარემოებამ გვაიძულა გასულ წელს (იხ. „მუზარადი" № 1.) მოწოდებით გამოვსულიყავით რომ ქართველთა საერთო ძალღონით დაგვემარხა „უპატრონო მკვდარი" — ჩვენი უთანხმოება.

მას შემდეგ არც ერთი დღე არ ყოფილა, რომ მის დამარხვაზე არ გვეზრუნოს.

ამ მიზნით პირადად ვინახულეთ ყველა დაჯგუფებათა წარმომადგენლები, ვინც აქ პარიზში არ იყვნენ, მათ წერილობით მივმართეთ.

არასოდეს არ დამავიწყდება ის ღრმა თანაგრძნობა ამ საკითხისადმი, რომელიც მე თვითონ საუბარში და წერილობით პასუხებში განვიცადე და ყველა მათ ჩემ ულრმეს მადლობას ვუცხადებ ამისათვის.

გაერთიანება ძალიან ძველი საკითხია და ამაზე მუშაობასაც გრძელი ისტორია აქვს.

მხოლოდ რატომღაც „გაერთიანებას" კედლებ შუა ამწყვდევდენ პირად, ან საოჯახო საქმესავით და ხშირად, სამწუხაროდ, ასეთადაც გამოდიოდა.

ჩვენ ვარღვევთ ასეთ პრაქტიკის ტრადიციას: დაე ყველამ იცოდეს ვინ რა მხურვალებით აშენებს ერის მართლაც ამ „ციხე-სიმაგრეს".

ამისათვის ვაქვეყნებთ ძირითად აზრებს, რომლებიც შეხვედრების დროს მივიღეთ, თუმცაღა ძალიან მოკლედ. ვათავსებთ ანბანის თანრიგით:

ბ. რ. არსენიძე (სოც. დემ. პარტია. არსენიძის ჯგუფი) — იდეალური გაერთიანება, მთელი ასი პროცენტით, მით უფრო ჩვენ პირობებში ოცნებაა, მაგრამ ემიგრაციის დიდი ნაწილის გაერთიანება შესაძლებელი არის და ფრიად სასურველიც.

ბ. ალ. ასათიანი (ერ. დემ. პარტია. ა. ასათიანის ჯგუფი) — უთანხმოებას უფრო ფსიქოლოგიური ხასიათი აქვს ემიგრაციის სპეციფიურ პირობებით აღმოცენებული და ამდენად მას ძირიც ღრმად არ აქვს ჩვენ შორის. რომ მოვინდომოთ და მოვაცილოთ პირადი უკმაყოფილება — უთანხმოება დაძლეულ იქნება.

ბ. რევაზ გაბაშვილი (ერ დემ. პარტია) — როცა საქმითაც იმას გააკეთებენ, რასაც სიტყვით ამბობენ, გაერთიანებაც მაშინ მოხდება. საჭიროა ყველა თავის საქმეს აკეთებდეს და არა ერთი ყველასას.

ბ. კ. გვარჯალაძე სოც. დემ. პარტია) — „ეროვნული ცენტრი" საქართველოს ყველა პარტიათა გაერთიანებას წარმოადგენს და იმას ვერ დავკარგავთ რაც არის. მაგრამ თუ კი მოხდება მთელი ემიგრაციის გაერთიანება, ჩვენ ამისათვის მუდამ მზად ვიყავით და მსხვერპლსაც გავიღებთ.

ბ. იოსებ გობეჩია (სოც რევ. პარტია) — საქართველოს იმ ჯოჯოხეთურ პირობებში შევსძელით ყველა პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება და აქ უფრო ადვილად განხორციელდება თუ რომ პარტიულ გეგემონიაზე მუშაობა მოისპობა.

ბ. დავით ვაჩნაძე (ერ დემ. პარტია) — ბევრჯერ ვცადეთ, არ მოხერხდა, მაგრამ გაერთიანებაზე მუშაობა მაინც არ უნდა შევსწყვიტოთ.

ბ. დოლიკა ვაჩნაძე (იუნკერთა წარმომადგენელი საფრანგეთში) — მხედრები თავიანთ ამოცანას ღირსეულად მაშინ შეასრულებენ, როცა ერი მთლიანი და ერთსულოვანი იქნება. ასეთ მთლიანობას ჩვენ მივესალმებით და მხარსაც დაუჭერთ.

ბ. სპ. კედია (ეროვ. დემ. პარტია) — ჩვენი პარტიის მთავარი დანიშნულება მთელი ერის გაერთიანებაა სამშობლოს სამსახურისათვის. პრაქტიკული პოლიტიკაც ამ დედა აზრით სუნთქავდა მუდამ, რასაც ჩვენი წარსული და ჩვენ მიერ გაღებული მსხვერპლი ამოწმებს. დღესაც ჩვენი პოზიცია იმავე ეროვნული შეგნებით იმავე საქმისათვის მოწოდებაა. იგი მოკლებულია ყოველგვარ ანგარებასა და პირადულობას, არსებითად მოკლებულია პარტიულობასაც. ჩვენ არა ერთხელ ვსცადეთ გაერთიანება და თუ ემიგრაცია ვერ გაერთიანებულა — ამაში ბრალი უდევს იმ პირადულსა და პარტიულ ჟინს, რომელსაც ერის სახელით მიღებულ საშუალებით ერის ინტერესის წინააღმდეგ ქართველებში ხელოვნური უთანხმოება და დაშლა შეაქვს თავის ბატონობისათვის.

ბ. ლეო კერესელიძე (თეთრი გიორგის ორგანიზაცია) — თქვენი მიზანი მამულიშვილურია, სასარგებლო და საჭირო, ალბად გეცოდინებათ, რომ არა ერთი შეცდა ყოფილა გაერთიანებისა: ორგანიზაციული დაკავშირება სწორედ იმ ნიადაგზედ, რომელიც „მუზარადმა" წამოაყენა დღევანდელ საკითხად. მაგრამ ვერ მოხერხდა. ცხოვრების პირობები, სინამდვილენი, რომელთა შინა ვტრიალებთ, ადამიანთა სურვილებზედ ძლიერნი გამოდგენ. ღმერთმა ინებოს თქვენ ეს დაბრკოლებანი დაგეძლიოთ. „თ. გ." დირექტორიას უფლება აქვს ჩემს მიერ მინიჭებული მონაწილეობა მიიღოს ამ საქმის გადაწყვეტაში. შესაძლებელია ჩვენ სინამდვილეთა უძნელესს დაბრკოლებათ ადამიანთა ბოროტი ზრახვანი და ინტრიგები გადაგეღობნენ! ალბათ ესეც იქნება. მრავალი უთანხმოება არსებობს დღეს ქართველთა შორის, აზრთა დიდი განსხვავება და დიდი მტრობაცაა ჩამოვარდნილი. მთელის გულით გისურვებთ მიზნის მიღწევას.... ჩვენის მხრივ ხელი არ შეგეშლებათ". (ამოღებულია საპასუხო წერილიდან)

ბ. შ. მაღლაკელიძე (ფაშისტ-მონარქისტი) — ჩვენთვის ჯერ ერის განთავისუფლების საკითხი დგას და არა რეჟიმის, და ისეთ გაერთიანებაზედ წავალთ, სადაც ჩვენ ამ უახლოეს მიზნის — სამშობლოს განთავისუფლებისათვის უკეთ ვიბრძოლებთ.

ბ. სვ. მდივანი*) (სოც. ფედერ. პარტია)—ჩვენ პარტიას ხუმრობით გაერთიანების პარტიას უწოდებდნენ და მართლაც ეს თვისება დაარსებიდანვე დაჰყვა. მუდამ ეტრფოდა ქართველი ერის მთლიანობას და საქმითაც ამისათვის იბრძოდა. მხოლოდ საერთო ეროვნული მიზნები ფლობდნენ ჩვენს მაჯისცემას და გაერთიანებისათვის თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯსაც მთელი პარტიით მხარს დაუჭერთ.

ბ. შალვა ქარუმიძე (ერ. დემ. პარტია) —თქვენ მიერ მდგომარეობის შეფასება სავსებით სრული და საღ ეროვნულ შეწონვაზე დამყარებულად მეჩვენება. ნაკლი და ხელისშემშლელი პირობანიც სწორედ გაქვთ გათვალისწინებული...

ჩვენ თაობას ერთი უბედური ნაკლი აქვს: ვერ შეგვიგნია ჩვენი მდგომარეობა და ურთიერთობაც ყალბად გვაქვს აშენებული: **ჩვენ ვდავობთ ძალაზე, მის ხელიდან** (პირადათ თუ ჯგუფურად და პარტიულად) **არ გაშვებაზე და ამავე დროს კი გვავიწყდება, რომ ეს ძალა და გამგებლობა ჩვენ ხელში აღარ არის და ჩვენ მხოლოდ მებრძოლნი ვართ, განმათავისუფლებელ მოძრაობის ჯარისკაცნი .... მით უმეტეს გაუგებარი და უაზრო ხდება ის დავა, რასაც შეაქვს უთანხმოება ჩვენში** და რასაც თვით ჩვენ ბრძოლას შეუგნებლობისა და არარაობის ნიშანს ასვავს. **მოგეხსენებათ, კიდევ რა ერთვის ზედ: შიში ერთმანეთის წინაშე ერის სახელით ნაშოვნი ლუკმის და მდგომარეობის დაკარგვისა.** სამწუხაროდ და ძალიან სავალალოდ, ძვირფასო ბატონო ინდო, ეს ორი მოვლენა ახასიათებს და სწურავს ჩვენი თაობის მოქმედებას აქ. და მართალია თავის მოჭრა იქნება ჩვენთვის, რომ მომავალი მთელ იმ ქიშპობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ფრონტებში შესვლა გამოსვლას თუ **გამოპანჩურებას ვერავითარ პრინციპიალურ აზრს და საბუთს ვერ მოუნახავს....** დავძლევთ ამას? (ადგილები ამოღებულია საპასუხო წერილიდან).

ვინახულეთ აგრეთვე მთელი რიგი საზოგადო მოღვაწენიც, როგორც არის ბ.ბ. გ. ჟურული, ივ. ზურაბიშვილი, გ. კერესელიძე, კ. დადიანი, შ. ამირეჯიბი, ილ. ნუცუბიძე, რომელთა დიდი ნაწილი ძალიან დიდი თანაგრძნობით შეხვდა. იყვნენ მათ შორის პესიმისტებიც და მწარე სიტყვის მთქმელნიც.

ახალი თაობა, რომლისთვისაც უცხოა ძველი თაობის ზღვარგადასული უთანხმოება, უფრო იმედიანად დამხვდა, მაგრამ ყველაზე საყურადღებო ახალ თაობაში „ახალი ივერიის" პოზიციაა. „ახალი ივერიამ" **ბ. დ. სინჯიკაშვილის და ალ. ცომაიას** პირით გადაჭრით განაცხადა:

„ეროვნული გაერთიანება, როგორი სახითაც იქნება შესაძლებელი — იმაზე მოვდივართ. რადგან ეს გაერთიანება პარტიულ ნიადაგზე არ ხერხდება, ჩვენ მზადა ვართ ამ მიმართულებითაც საჭირო მსხვერპლი გავიღოთ, მხოლოდ სხვებმაც ხელი უნდა აიღონ პარტიულ და ჯგუფურ პოლიტიკაზე.

ამ მუშაობის პროცესში წინ ბევრი კუდაბზიკაც გადაგვიდგა, გზის ამბნევიც, „უეშველებელი მზის დამბნელებელი გვამიც", მაგრამ ჩვენ ყველა მათ ფეხი დავადგით და ერის სამკვდრო სასიცოცხლო საქმეს — გაერთიანებას არ გადაუხვიეთ. მეტად გამხნევებული ვართ იმით, რომ „სამშობლოში" გ. სამხარაძის და „ახალ ივერიაში" ბ. სინჯიკაშვილის ფრიად ძვირფასი წერილები დაიბეჭდენ გაერთიანებაზედ.

ახლა სიტყვიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ და აქაც ერთსულოვნობა, თანაგრძნობა და ერთი მეორისადმი მოვალეობის მოხდის გაადვილება ეროვნულ გაერთიანების მტკიცე საძირკვლად გადაიქცევა.

---

*) აწ განსვენებული

სამწუხაროზედ მეტი*)

მიიღოს თუ არა ისტორიამ?

„კავკაზის" ჯგუფმა დაბეჭდა თავის **ერთ-ერთი ბელადის ღენერალ კვინიტაძის** მეტად „სტრატეგიული" წერილი — „არტაანის აღება".

ბ. კვინიტაძეს ფრიად კეთილშობილური აზრი მოსვლია:

„ეტყობა, ამ საკითხის გაუშუქებლობა იწვევს გაუგებრობას და ზოგგან დემაგოგიურ ყვირილსა და უცენზურო ლანძღვასაც" (ჟურ. „კავკასია" № 8—9, გვ. 11), ამბობს და მოუნდომებია გაშუქება საქართველოს საზღვრებზედ „კავკაზის" ჯგუფის მიერ ჩამოგდებულ უგუნურ დავის, რომ ამით დამშვიდება შეიტანოს სამართლიანად აღშფოთებულ ქართულ საზოგადოებაში.

მაგრამ მან **თავის აზროვნების ხასიათითა** და ნაწილობრივ თავის ხასიათითაც სრულიად საწინააღმდეგო შედეგს მიაღწია — **დაქრობის ნაცვლად ცეცხლს ნავთი გადაასხა და უნდოდათ თუ არ უნდოდათ „პოლიტიკური სეზონის" გახსნა „კავკაზის" ჯგუფმა ისევ სამშობლოზედ თავდასხმით დაიწყო.**

დავხვდეთ ჩვენც.

ბ. ღენერალი ბრძანებს: „აწყური ავიღეთ ერთი საათის შემდეგ და **მეორე დღეს** (ხაზი ყველგან ჩვენია. ი. ი.) მე შევედი ახალციხეშიაც... ჯარებზე უწინაც კი". (იხ. „კავკასია" გვ. 13).

ბ. კვინიტაძე მთავარსარდალი ბრძანდებოდა ამ ლაშქრობისა და მის მიერ თქმული უაღრესად **სარწმუნო წყაროს უნდა წარმოადგენდეს ერის ისტორიისათვის და მიიღოს თუ არა ისტორიამ ასეთად მისი ნათქვამი?**

ავალაპარაკოთ თვით ლაშქრობის სინამდვილე.

ლაშქრობის აღწერა სხვა საგანია და დიდ ადგილსაც მოითხოვს. ჩვენ აქ ზოგიერთ მომენტს მოვიტანთ ჯერ ისტორიისა და მერე ამ ლაშქრობის სახელოვან სარდლის ბ. კვინიტაძის პატივსაცემად.

მე, როგორც თოფით ხელში მონაწილე და ამავე დროს მკვიდრი შვილი სამცხე-საათაბაგოსი, მადლიერიც ვარ იმ ამაგისათვის, რომელიც ბ. ღენერალს საქართველოს ამ კუთხისადმი მიუძღვის.

მით უფრო, რომ მე მშვენივრად ვიცოდი მოწინააღმდეგის ძალა, რომელსაც ხშირად ბ-ნ ღენერლის დასამცირებლად უმნიშვნელო ბანდას უწოდებენ.

ეს შემცდარი აზრია: აჯანყების სათავეში მეტად ენერგიული ქართველი **სერვერ ათაბაგი უდგა.** მისი მარჯვენა ხელი **ალი ბაგრატიონი** (მაჰმადიანი მუხრან-ბატონიშვილი) იყო. მხარს უჭერდა სამცხე-საათაბაგოს თავად-აზნაურობა ქრისტიანების გამოკლებით. აჯანყებულთა ჯარებს ხელმძღვანელობდნენ თურქის ოფიცრები, კერძოდ დიდ როლს თამაშობდა მაჰმადიანი ქართველი პოლკოვნიკი ავალიშვილი. მათ ზურგს უმაგრებდა თურქეთი, თუმცაღა დაშლილი და დასუსტებული.

ლაშქრობის პირველი დღე

სლესის ციხე, როგორც ღენერალიც აღნიშნავს, მოწინავე ხაზი იყო. ჩემი ნაწილი ამ სლესის ციხის ახლოს სოფელ ქვაბისხევთან იდგა. 1919 წლის მარტის დასაწყისს (დღე არ მახსოვს) შუადღის შემდეგ დვირის ხიდით მტკვრის მარცხენა მხარეზე გადავედით და სოფელ საკირისაკენ გავემართეთ. ბინდი ეცემოდა რომ სოფელს მივაღწიეთ და იქიდანაც შეუსვენებლივ გავსწიეთ, ჩვენი ჯარების სულ მარცხენა ფრთაზე მოვექეცით. მისვლისთანავე შუაღამისას რაზმი ორად გაიყო — ერთი ნაწილი წავიდა გაურკვეველ მიმართულებით, მეორემ კი, რომელშიც მეც ვიყავ, პირი „თისელის სიმაგრეებისაკენ" იბრუნა, სადაც გამაგრებული მტერი თავის ფრთით მიუვალ მთას ებჯინებოდა. წინ ნაწილის **უფროსი პოლკოვნიკი უთნელაშვილი** მიგვიძღოდა სულ ერთავად მეცხვარის ჯოხისავით ხმალ მენჯებზე მოდებული. მივყავდით ნელა, უხმაუროდ, ხან შეგვასვენებდა, ხან აგვაჩქარებდა და როცა ინათლა ჩვენ თვალწინ თისელის სიმაგრე აიმართა: დავინახეთ თხრილებში მოპირდაპირეც. დაბალი ხმით უთნელაშვილის ბრძანებამ ელდენისავით გაიარა რიგებში „იერიშზე!" მგლური ძუნძულით წავედით. თოფები მხრებზე გადაკიდული უნდა გვქონოდა. მოპირდაპირემ მოულოდნელად შენიშნა მასზე მიმავალი გამეხებული ხალხი და ცეცხლი გააჩინა, შველას რომ უძახდა ჩვენ გვესმოდა. დაშორებულ სანგრებიდან მოპირდაპირე იმ ადგილისაკენ მოეშურებო-

---

*) ამოღებულია „ძლიერების სათავიდან" რიგ გარეშე.

და მისაშველებლად, სადაც ჩვენ ვეკვეთენით, მაგრამ ველარ შეაშაგრა: **სანგრების პირთან** მხრებიდან გადმოქანებულ თოფებთან ერთად „ვაშამ“რომ დაიქუხა, მტრის ქუსლებს ლა ვხედავდით. მთას მიბჯენილი სანგრები უკვე ჩვენ ხელთ იყო რომ ზარბაზანიც გავარდა. თიესელის სიმაგრის მთელი გასწვრივ მტრის საშინელ ცეცხლის ქვეშ ჩვენი ჯარები გადმოვიდნენ შეტევაზე გაშლილ თოვლიან ყანებში შეუკავებლად ეკვეთენ მაღლობს.

არაფერი ისეთი წარმტაცი არ მინახავს, როგორც ეს ქართული შეტევა იყო!

რუსებიც მოდიან შეტევაზე, მაგრამ ისინი ძალიან ადრე „ურას“ ყვირილს იწყებენ და შორიდან ტირილ-გოდებად ისმის, განცდა იმღვრევა. სულ სხვაა, როცა კედელისავით რიგი მდუმარედ მოძრაობს და მერე შვავისავით შხუილად სკდება..

ეს ისე საამო, საამაყო, ისე ტკბილი განცდაა, რომ კაცი ვერაფერზე ვერ გასცვლი.

მალე მტერმა მთელი გასწვრივი დასტოვა და უწესოდ გაიქცა.

პირველ დღეს ჩვენ ავიღეთ მტკვრის ორივე მხარეს მოპირდაპირის გამაგრებული ხაზი და მის ზურგში მყოფი სოფელი აწყური.

მტერმა დაიხია სოფელ აგარის ქედამდის მტკვრის მარჯვნივ და სოფელ საყუნეთამდის მტკვრის მარცხნივ. საყუნეთიცა და აგარაც მათ ხელში იყო.

ლაშქრობის მეორე დღე

მეორე დღეს დილით დარტყმა სულ მარცხენა ფრთაზე ისევ ჩვენით დაიწყო. უნდა აგველო **კოდიანი მთის** ის მაღლობი, რომელიც რუსთავ-ასპინძის გზას დაჰყურებს და მთელი მარცხენა ფრთაზე ბატონობდა. ხუთი კაცი გაგვგზავნა უთნელაშვილმა დასაზვერავად. მაღლობის ტყით დაფარულ ფერდობს მხოლოდ ერთი ცალფეხა ბილიკი შესდევდა, გვიადვილებდა კლდიან-თოვლიან გვერდებში სვლას, მაგრამ მაღლობს წინ კარგა დაშორებით საკმაო დიდი მოტიტვლებული ადგილი იდო. ბილიკმა იქ გაგვიყვანა თუ არა, ტყვიაც დაგვაყარეს მაღლობიდან. ჩვენ თოვლზე დავცვინდით, ვითომ დაგვხოცეს და სროლა რომ მიწყდა, წამოვარდით, ტყისკენ გადავეშვით.

ამ მოულოდნელობამ მათში სროლის ისეთი ჟინი გამოიწვია, რომ უკვე მაღლობის ყველა ადგილებიდან წვიმასავით არეული ტყვია დაგვაყარეს. ეს ხერხი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა დაახლოებით გამოგვერკვია მათი ძალები, ყოველ შემთხვევაში მაღლობი გამაგრებული ჰქონდათ. ამის მოსმენის შემდეგ უთნელაშვილმა 30 კაცამდე გაგვაგზავნა. ნახევარ საათში მაღლობს თუ ვერ ავიღებდით, უკან უნდა დავბრუნებულიყავით. გაფრთხილებულ და კარგად ჩასაფრებულ მტერმა ახლო აღარ მიგვიშვა, სულ ერთავად სროლის ქვეშ გზის მიკვლევას გვიძნელებდა კლდიან გვერდობში. ნახევარი საათი საკმარისი არ გამოდგა, დავბრუნდით. მაშინ **უთნელაშვილმა ხმალი ისევ მეცხვარის ჯოხისავით მენჯებზე წამოიდო და წინ თვითონ გაგვიძღვა.** მხრებზე თოფ გადაკიდებული მთელი ნაწილი ცალი წკრივით დიდზე შეგრძელდა. ტიტველა ადგილს მივაღწიეთ. არც ერთი გასროლა მაღლობიდან. მაღლობზეც ავედით, მტერი აღარ იყო.

ეს აღწერა სწორედ ამ უკანასკნელ მომენტისათვის მინდოდა თუ ქართველი მხედარი იმ პატარა ტანის ბ. უთნელაშვილის სახით რა ძალას ფარავდა და ქართული მახვილი ბრძოლის ველზე რატომ იყო უძლეველი.

მაღლობის დაკავების შემდეგ ჩვენი ჯარები მტკვრის მარცხნივ და მარჯვნივ იერიშზე გადავიდნენ, ზარბაზნებმაც საყუნეთის მაღლობები და აგარის ქედი ცეცხლში გახვიეს. მტერი იძლია და შუადღის შემდეგ ახალციხე-რუსთავ-ასპინძისაკენ დაიხია.

ეს ბრძოლა მოხდა აწყურიდან შვიდი-რვა კილომეტრის დაშორებით, აწყურიდან ახალციხემდე კი 23 კილომეტრია.

ასე რომ დარჩენილ 14—15 კილომეტრს შუადღის შემდეგ ძლეული მტერი თვითონ ძლივს მოასწრებდა ახალციხემდის დახევას და ბუნებრივია, რომ ჩვენი ჯარების მთავარსარდალი და ისიც მარტო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევიდოდა ახალციხეში. მართლაც, მოპირდაპირეს, როგორც მერე გავიგეთ, ახალციხე დაეცალა მესამე დღეს განთიადისას.

ლაშქრობის მესამე დღე

ღამე სოფელ საყუნეთისა და სოფელ კვალთახევის შუა მდებარე ყანებში გავათენეთ. მესამე დღეს დილით საათის 10—11-ზე დავეწყენით მტკვრის მარცხნივ მყოფი ჯარები და ვიწყეთ მწყობრი რიგებით სვლა მინაძის ხიდისაკენ (ასეთსავე სვლას ვხედავდით მტკვრის მარჯვნივ). სოფელ მინაძის ოხერისა და ჭალის არეში დაგუბდა, **მათ მხოლოდ ჩვენი ნაწილი გამოეყო და შუადღის შემდეგ ქალაქ ახალციხეში ყველაზე უწინ შევიდა ახალქალაქის შარა-გზით.**

უკვე ჩვენ შესვლის შემდეგ მოსახლეობის წარმომადგენლები მთავარსარდალს, ღენერალ კვინიტაძეს პურმარილით ქალაქის გარედ გაეგებნენ, რომელიც მტკვრის მარჯვნივ ბორჯომის შარა-გზით მომავალ ჯარებთან იმყოფებოდა. წარმომადგენელთა შორის ერთი ჩემი გვარის კაცი პეტრე ინასარიძეც იყო სოფელ მუსხიდან და სწორედ იმისგან გავიგე ახალციხეში შესვლისას, რომ ღენერლის დასახვედრად ემზადებოდნენ. **ასე რომ, ბ-ნი ღენერალი არც მეორე დღეს შესულა ახალციხეში და არც ჯარზე უწინ.**

რათქმაუნდა ჩემ მიერ აღნიშნული მომენტები ჯარების სარდალ ღენერალ კვინიტაძეს შეეხება, ამ ლაშქრობის დიდებული სტრატეგია და ტაქტიკა მისია, მხოლოდ ჩემი ნაწილის უფროსი პოლკოვნიკი უთნელაშვილი კი მასზე დაკისრებულ ამოცანის კარგი შემსრულებელი იყო.

რაღადაა საჭირო ამ ბრწყინვალე ლაშქრობისათვის შეუფერებელი ლაქები?

არტაანის სტრატეგიული ბაზა

ბ· კვინიტაძეს ამაგი აქვს სამშობლოს წინაშე და **კერძოდ ამ კუთხისადმი.** და ბუნებრივია, რომ კაცს რაზედაც ამაგი აქვს, იმას უფრო ძნელად იმეტებს. როგორც ჩანს ეს ადამიანური თვისება მათთვის უცხო ყოფილა და სამშობლოს მიწა-წყალთან ერთად თავის ამაგსაც ფეხით ქელამს. მაგრამ ისინი ივიწყებენ თავიანთ სარდლის მოვალეობასაც, უარყოფენ იმ მხარის სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომელიც მუდამ საქართველოს კლდე-კარი იყო.

„ჩვენი ემიგრანტული პრესის ერთ ნაწილში, ბევრსა ჰყვირიან **ჩვენს უფლებაზედ არტაანისა და სხვა მხარეებზედ,** რომელიც გადასულია ოსმალეთზედ. **მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზედაც საქართველოსათვის. თუმცა ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველო არსებობდა რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში, უამხარეებოდ და უარტაანოდაც“** (იხ. „კავკასია“ N 8-9 გვ. 11).

კითხულობთ ამ თეთრზე შავად დაწერილ სტრიქონებს და არა გჯერათ, რომ ეს საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარსარდლისაა: ან ჩვენ როგორი დაქვეითებული ვყოფილვართ, რომ ასეთი ღენერალი მთავარსარდლად გვყოლია ან და ღენერალი როგორ დაქვეითებულა მას შემდეგ? ვილაპარაკოდ ჯერ არტაანის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე.

„თმოგვის ციხე“ სამართლიანად აუღებლად ითვლებოდა. ერის უკვდავ ხალხურ შემოქმედებაში: — „აბესალომ და ეთერში“ —ერთი ისაა ნახსენები: **„ვინ არ იცის ცამდის მაღალი თმოგვის ციხეო“.**

რომ დღეს ერმა სთქვას თავის ციხეზე: **„ვინ არ იცისო“,** ასეთი ერთად ერთია მთელ ქვეყანაზე და ეს **ვერდენია** ფრანგის ერისათვის.

და თმოგვის ციხესაც რა დიდი როლი უნდა ეთამაშნა, ერის ბედი როგორ უნდა მოებრუნებინა, რომ ის ყველა ქართველს სცოდნოდა!

თმოგვის ციხე კი, ეს ქართველთა ვერდენი არტაანის გვერდშია. სამწუხაროდ, რუსულ სკოლაში აღზრდილმა ღენერალმა არ იცის თუ საქართველოს დიდ წარსულს რა ურთიერთობა ჰქონდა ამ მხარესთან, არ იცის არც მისი საზღვრები, არც სტრატეგიული მნიშვნელობა მისი, **არ იცის არც ის, თუ სტრატეგიულ ბაზას რა წარმოადგენს.** ბევრს, და ალბად ბ. კვნიტაძესაც ასეთად თვით ქალაქი არტაანი და მის გარშემო დაცემული მინდვრები ჰგონია.

„არტაანის სტრატეგიული ბაზა“ საერთო საერთო სახელია იმ უთვალავ მთების, მთა-გრეხილების, ზეგანებისა და თხემების, რომლებიც კოპის მთითა და „გურჯი ბულოზით“ (ქართველთა ყელი) იწყება, რომელიც ჰფარავს ოლთისს, ყარსს და აღწევს აბულის მთას ჯავახეთში და არსიანის მთას სამცხეში **თავის ბუნებრივი ზონით,** რომლის შემდგომ უკვე **ხელოვნურ სიმაგრეთა ზონა იწყებოდა მრავალ ციხეთა სახით მთელ სამცხის სივრცეზე. აი ამ ზონაში მტერს** შეეძლო მხოლოდ სამი მიმართულებით შემოსვლა და ამის და მიხედვით ციხენიც სამრიგად დალაგებულ ჯაჭვს წარმოადგენდნენ.

1-ლი ჯაჭვი: ირმის რქის მთების აღმოსავლეთით მდებარე ასპინძის აუზში მტკვრის ფერდწოლებით თმოგვის ციხე ვარძიის კლდე ქალაქით, ხერთვისის ციხე, ოშორის ციხენი ასპინძით, ფერის ციხე და აწყურის ციხე სლესის ციხით·

2-რე ჯაჭვი: ოძრხის (აბასთუმანი) მთებსა და ანდის მთებს შუა ლომსიანის აუზში ფოცხოვის წყლის ფერდწოლებით ჯაყის ციხე, ოძრხის ციხე, ლომსიანი ახალციხით კავშირს ამყარებდა აწყურისა და სლესის ციხეებთან;

მე-3 ჯაჭვი: ზემო ორ ციხეთა ჯაჭვ შუა ანდის მთებსა და ირმის რქის მთებს შორის ურავლის აუზში ურავლის წყლისა და წითელ წყლის ფერდწოლებით გადიოდა აწყურიდან რუსთავზე, ძუსხზე, ორცებზე უახლოესი თამარ დედოფლის სამხედრო გზა და მას იცავდა ორცების ციხე, თავიჯვრის ციხე, საფარის ციხე და სატალოს სიმაგრეებით უკავშირდებოდა აწყურ—სლესის ციხეებს.

ამ არტაანის სტრატეგიულ ბაზის დაკარგვის შემდეგ უკვე გოდერძით — იმერეთისა და ბაკურიანის მთებიდან თურქები მგლებივით გადმოადგებიან დარჩენილ საქართველოს და თავის მუქარის ქვეშ ამყოფებენ დღესაც და ღამეც.

ამბობენ, ჩვენ ახალციხე - ახალქალაქზე არა ვლაპარაკობთო და ისიც არ იციან, **რომ არტაანზე ლაპარაკი თავისთავად გულისხმობს ახალციხე - ახალქალაქს და ბათუმსაც,** რადგან ვის ხელშიც არტაანის სტრატეგიული ბაზაა — ის თავის თავად ბატონობს მთელ ამ არე მარეზედ.

და თუ დღეს თურქების ჯარები არ შედიან იქ, არა იმიტომ რომ ეს ასე არ არის, არამედ იმიტომ, რომ ბათუმ - ახალციხე - ახალქალაქში „დიდი რუსეთის“ ჯარებია. აბა მოაცილეთ რუსეთი, თუ ოცდაოთხ საათში, როგორც მაღლობებიდან დაქანებულ ნიაღვრებმა ისე არ წალეკონ მთელი ეს მიდამოები აღორძინებულ თურქეთის ჯარებმა.

ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ურუსეთოდ დაცვა არ შეგვიძლია. **არა, ურუსეთოდ კი არა, არამედ უარტაანოდ.**

ჩვენი მამა-პაპა იცავდა არა ერთ, არა ორ, არამედ ათეულ საუკუნეების მანძილზე თავის სამშობლოს უფრო ძლიერ მტრებისაგან და არც იცოდა თუ რუსეთი ქვეყანაზე არსებობდა.

ამასთან **არ ყოფილა შემთხვევა** ჩვენ გრძელ ისტორიის მანძილზე, რომ **გაერთიანებულ საქართველოს ზღუდეთ არტაანის სტრატეგიული ბაზა არ ჰქონოდა.**

და როცა საქართველოს ჯარების ყოფილ მთავარსარდალს ამის ცოდნა გაგება არ აქვს, არც ასეთის სახელით უნდა ლაპარაკობდეს·

ჩვენი უფლება არტაანზედ

ისტორიას არ ახსოვს, რომ არტაანის პატრონი სხვა ყოფილიყოს და ჩვენ წაგვერთმიოს მისთვის.

პირიქით, ისტორიულ გრძელ მანძილზე არტაანს **ჩვენ გვართმევდნენ,** არტაანი ჩვენი იყო და ეს **„ჩვენი“** მიჰქონდათ ხოლმე.

დღესაც ჩვენი აქვს წაღებული თურქეთს, ამიტომ **თვით საკითხის დასმა ჩვენს უფლებაზე· ყოვლად შეუწყნარებელია,** რადგან ეს სულერთიანად იგივეა, რომ ვთქვათ: „ჩვენი უფლება ტფილისზედ“, „ჩვენი უფლება ქუთაისზედ“, „ჩვენი უფლება ბათუმზედ“·.

და რა უფლება გვაქვს ტფილისზედ, ქუთაისზედ, ბათუმზედ? რა უფლება გვაქვს საკუთარ ჩვენს თავზედ? აი, ასეთივე უფლება გვაქვს არტაანზედაც, არც მეტი, არც ნაკლები.

1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისას თუ იგი მის ფარგლებში არ მოექცა, რაც თქვენ საბუთათ (?) მოგყავთ, სამაგიეროდ ის იმ დროს იმ სამაჰმადიანო საქართველოს გულს წარმოადგენდა, რომელსაც „სამხრეთ დასავლეთ კავკასიის“ სახელმწიფოდ ასახელებთ და თქვენი სინამდვილეში ჩაუხედველობის გამო იგი უცხო სახელმწიფო გგონიათ.

მაგრამ თქვენ რომ გცოდნოდათ, რომ თქვენი **ლაშქრობა სამაჰმადიანო საქართველოს უკვე მეორე აჯანყებას შეეხებოდა და „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობაც იგივე სახელშეცვლილი სამცხე-საათაბაგო იყო** — მაშინ კურიოზულად არ მოგეჩვენებოდათ მათი „ნოტა“, რომელშიაც თქვენი თქმით სწერებია: „სამხრეთ დასავლეთ კავკასიის სახელმწიფო და საქართველო ყოველთვის მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ“.

მისი სულის ჩამდგმელი არა „ფოცხოველი“ არამედ სერვერ ათაბაგი კანონიერი მემკვიდრე სამცხე-საათაბაგოს მთავრების რუსეთის იმპერიის დანგრევის დღიდან ისე როგორც ყველამ ყოფილ იმპერიის ფარგლებში, ისიც შეუდგა თავის მამა-პაპეულ სამთავროს სამცხე-საათაბაგოს (სამაჰმადიანო საქართველო) აღდგენას ყარსიდან ბათუმამდის და ინგლისელებიც მის კანონიერ პრეტენზიებს უჭერდნენ მხარს.

მაგრამ თქვენ ამის ცოდნა არ გაქვთ და „საადაბადის მეზღაპრე“ ბ. ბამატის კილოთი არტაანის აღებას ისე გვიყვებით, თითქოდენ აფრიკის უცნობ ადგილებისაკენ გაგელაშქროთ და რაღაც საარაკო სახელმწიფოს არსებობასაც წასწყდომოდეთ... „ბლანკებიც“ კი გქონიათ თუ გინახიათ, ვითომ როგორც დამაჯერებელი საბუთი დაუჯერებელის და აზრადაც არ მოგდიოდათ, რომ ეს „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის“ მთავრობის არსებობა ასი ათასობით ქართველებმა იცოდნენ და მისი ქვეშევრდომნიც იყვნენ.

რომ ეს სამაჰმადიანო საქართველოს სახელმწიფო არც ყოფილიყო და არტაანი დამოუკიდებლობის აღდგენის ხანაში მართლა საქართველოს ხელისუფლების გარედაც რომ დარჩენილიყო კიდეც... რა მერე? რამდენჯერ ყოფილა ჩვენს ისტორიაში ჩვენივე სამშობლო მცირე ნაწილით აღდგენილი და მერე **საუკუნეების მანძილზე** გარედ დარჩენილი ნაწილები მძიმე ბრძოლებით ძლივს შემოერთებული.

არტაანი კი დამოუკიდებლობის აღდგენას მეორე წელსავე იქნა დაბრუნებული და ისიც ძალიან ადვილი ლაშქრობით.

„თუმცა ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველო არსებობდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, უამმხარეებოდ და უარტაანოდაც“ — ბრძანებს ბ-ნი ღენერალი.

საქართველო არსებობდა უტფილისოდაც, უაღმოსავლეთ საქართველოდაც, მაგრამ ამისათვის არც ერთ ქართველს აზრად არ მოსვლია, რომ ტფილისი, ან აღმოსავლეთ საქართველო, საქართველო აღარ იყო.

საყურადღებოა მაინც როდის იყო საქართველო უარტაანოდაც?

შორეულ წარსულში საქართველოს არტაანი დედა-ქალაქადაც ჰქონდა.

მერე გაერთიანების ხანამდის ტაო-კლარჯეთი (არტაანი) საქართველოს ერთ-ერთ უძლიერეს მხარედ ითვლებოდა.

სწორედ არტაანიდან მოევლინა **საქართველოს გაერთიანებას დავით დიდი კურაპალატი** (ტაო-კლარჯეთის მეფე), როგორც ფიზიკური და ზნეობრივი ძალა. ეს გახლდათ მეათე (975) საუკუნის დამლევს.

შემდეგ, საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერების ხანაში არტაანი **სამშობლოს უდიდესი მაგრობია·** მონღოლების ბატონობის დროსაც ეს მხარე გაუტეხელ ბრძოლას აწარმოებს მთელ საქართველოსთან ერთად და მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმულობის გულსაც წარმოადგენს („კოხტა მთის“ შეთქმულობა)

და ბოლოს საქართველოს დაშლისა და დაცემის დროსაც არტაანი საქართველოს ერთ-ერთ სამთავრო, სამცხე-საათაბაგოში შედიოდა მუდამ. მხოლოდ შემდეგ· **ოსმალეთთან ბრძოლაში მარტო დარჩენილ** (საქართველოს შვიდ სამეფოდ დაშლის გამო) **სამცხე-საათაბაგოს დამარცხებამ და იძულებით გამაჰმადიანებამ საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად არტაანიც ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოაქცია.**

თუ არ ვცდებით ბ. კვინიტაძე ამ ხანას უნდა გულისხმობდეს „საქართველოს უარტაანოდ არსებობას“. მაგრამ ამ დროს საქართველო არა მარტო უარტაანოდ, არამედ უახალციხოდ, უახალქალაქოდ და ბოლოს უბათუმოდაც არსებობდა... და თუ ეს ჩვენი ისტორიული უბედურებაა, **მათი თქმით,** არტაანზე ხელს გვაღებინებს, მაშინ რა საბუთი გვაქვს არ ვიფიქროთ, რომ ხვალ ბათუმ - ახალციხე - ახალქალაქის მტრის მიერ შემთხვევით ხელში ჩაგდების დროსაც **იგივეს არ გვეტყვის:** „საქართველო უბათუმოდ და უახალციხ-უახალქალაქოდაც არსებობდაო“?

ამასთან არსებითად არც არის მართალი, რადგან აღნიშნულ ხანაში თვით საქართველო, როგორც ასეთი არ არსებობდა: იყო ქართლის სამეფო, კახეთის სამეფო· იმერეთის სამეფო, სხვა და სხვა სამთავროები და არა საქართველო სახელმწიფოებრივად.

მაგრამ ბ. ღენერალი უთუოდ „საქართველოს“ ქვეშ ქართლის სამეფოს გულისხმობს· ტყუილად კი არ ფუსფუსობენ მისი თანამოაზრენი: „ბოლო ხანებში ჩვენი მეფეები (ე.ი. ქართლის) აღარ ზრუნავდნენ ამ მხარის შემოერთებაზე და ჩვენ რა შეგვიძლიაო.“

როგორ შეეძლოთ ქართლის მეფეებს სამცხე-საათაბაგოს შემოერთებაზე ეფიქრათ, როცა **მთელი საქართველო დაშლილი იყო და გაერთიანებას რაღა მტრის მიერ დაპყრობილ ქვეყნებიდან დაიწყებდნენ?**

მხოლოდ შემდეგ ქართლ-კახეთის გაერთიანებით გაცოცხლდა რა საქართველოს გაერთიანების იდეა, დიდებული ერეკლე მეფე მუდამ ახალციხე-არტაანის დაბრუნებაზე ზრუნავდა და ეს თავისი განუხორციელებელი წადილი რუსეთთან დადებულ ცნობილ ხელშეკრულებაში ერთ ერთ მუხლად შეტანით ანდერძადაც დაგვიტოვა და ამით საქართველოს ძლიერების აღდგენის გზა გვიჩვენა.

„თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ინგლისი იმ დროს ხელს უწყობდა **ყოფილ ოსმალეთის ტერიტორიაზე** ცალკე სახელმწიფოთა დაარსებას (არაბეთი, პალესტინა, სირია და სხვ.) საფიქრებელია, რომ სწორედ ინგლისის სურვილით დაარსდა ეს სახელმწიფოც: სამხრეთ დასავლეთ კავკასია“. (იგივე „კავკასია“ გვ. 12)

„რომ ინგლისელებს განზრახვა ჰქონდათ შეექმნათ, **როგორც სხვა ადგილებშიაც ყოფილ ოტომანთა იმპერიისა,** ცალკე სახელმწიფო· რითაც გასაგებია სუსტდებოდა ოსმალეთი“. („კავკასია“ გვ· 16)·

ჩვენ ხაზი გაუსვით ორ ფრიად დამახასიათებელ ადგილს: „ყოფილ ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე“ და „როგორც სხვა ადგილებშიაც ყოფილ ოტომანთა იმპერიისა“.

გამოდის რომ „სამხრეთ დასავლეთ კავკასიის“ მთავრობაც **წარმოშობილი ყოფილა ყოფილ თურქეთის იმპერიის ტერიტორიაზე და**

ამით არტაანზედ აღიარებულია თურქეთის უფლება.

კი, არაბეთი, პალესტინა, სირია მართლა შედიოდა თურქეთის იმპერიაში, მაგრამ **ყარსი, არტაანი აქ რა შუაშია?** მთელ ქვეყანამ იცის, რომ **ყარს-არტაანი ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაა და არა თურქეთის.**

მაშ რა დიდი ჯადო უნდა ბრუნავდეს ადამიანის გუნებაში, რომ კაცმა ტერიტორიის ნამდვილი მფლობელი, თავისი პატრონი რუსეთი, რომლის სამსახურში დაბერებულა, დაივიწყოს და უცხო თურქებზე გველაპარაკოს!

ჰა, მომავალ პატრონის ხათრისათვის ხომ არ მოგდით, ბ-ნო ღენერალო, გონების დაბნელება?

მერე, ცოტა არ იყოს, თავი მოაქვს სერვერ ათაბაგის წინააღმდეგ ლაშქრობით და სამაყოც არის. მხოლოდ სერვერ ათაბაგის დანაშაული იმაშია, რომ რუსეთის იმპერიის დანგრევით სამშობლოს მთლიანობისათვის კი არ ისარგებლა, არამედ მან თავის მამა-პაპეულ სამცხე-საათაბაგოს სამთავროს აღდგენა მოინდომა თურქეთის მფარველობით და ამდენად თურქეთი საქართველოს ერთ ნაწილში შემოჰყავდა.

ქართველმა ერმა თავისი ღვიძლი შვილი სერვერ ათაბაგი ამ განდგომისათვის მოღალატედ გამოაცხადა და მის წინააღმდეგ შეიარაღებულ ძალებით გაილაშქრა ღენ. კვინიტაძის სარდლობით. ეხლა ღენერალი კვინიტაძე სერვერ ათაბაგზე შორს მიდის: უკვე მთელი საქართველოს განთავისუფლება უნდათ თურქეთის მფარველობით და ამდენად თურქეთი მთელ საქართველოში შემოჰყავთ.

ან რა საჭირო იყო ინგლისის საქვეყნოდ ცნობილ „დაანაწილე და იბატონე" პოლიტიკის „გათურქულება": ვითომ ეს სახელმწიფოც თურქეთის დანაწილებისათვის ინგლისს დაეარსებინოს. პირიქით, ამით ინგლისმა კავკასიის დანაწილებას დაუჭირა მხარე კავკასიაზე თავის ბატონობისათვის, რასაც ისტორიულ „სამცხე-საათაბაგოს" „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიით" შეცვლა ამოწმებს.

მართალია ამ „სამხრეთ დასავლეთ კავკასიის" სახელმწიფოში უცხო ელემენტიც უხვად იყო წარმოდგენილი. გარდა თურქული მფარველობისა, მას აზერბეიჯანის დიდი „თანაგრძნობაც" ჰქონდა და ჩრდილო კავკასიის სახელითაც კი, თუ არ ვცდებით ტომით ქისტი, **მუსაკიევი** ფრიად აქტიურ როლს თამაშობდა, მაგრამ რა მერე? განა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ქვეყანაზე ჯერ არ ყოფილ „სოციალისტურ სახელმწიფოში" ცოტა იყვნენ სომხები, ებრაელები, რუსები, ოსები.....

როგორც ხედავთ, სამხრეთ საქართველოს ბედის გადაწყვეტაში ჩრდილო კავკასია „საადაბადის მეზღაპრე" ბ. ბამატის სახით პირველად არ იღებს მონაწილეობას. ბ. ბამატის წინამორბედი მუსაკიევი იყო. თუმცაღა უნდა ვთქვათ, რომ იგი ფოცხოვში (სამცხე) მაჰმადიან ქართველებმა მოჰკლეს ქრისტიან ქართველების წინააღმდეგ მოწოდებისათვის.

მენშევიზმა რომ საქართველო დაღუპა, ამაში ქართველ ერს ორი აზრი არ აქვს და სწორედ მისი ეს დამღუპველობა მქონდა მხედველობაში, როცა „კავკაზის" წინააღმდეგ „მენშევიკურ მიტინგს" არ დავესწარი.

ბ-ნ რეზო გაბაშვილის ოჯახში ვთქვით: „ჩვენი იქ დასწრებით სამშობლოს მიწა-წყლის არც ძველ და არც ახალ გამცემლებმა არ უნდა ისარგებლონო". და ასეთი დებულებაც მოვიყვანე: **შეუძლებელია დანაშაული ჩაიდინო და თავი იმით იმართლო, რომ სხვამაც ჩაიდინაო.**

გადავწყვიტეთ დამოუკიდებლად გამოსვლა ორივე დამნაშავეთა წინააღმდეგ, მაგრამ იქ დამსწრე ერთი **„გორგალისავით მბრუნავ ბუნების გაფუჭებული"** გაიქცა და ჩემი ეს მოსაზრება, სხვაც წიგნად თავის სახელით გამოსცა და ჩაშალა გადაწყვეტილება.

და აი, იქ ნათქვამს ვიმეორებ ახლაც: რაღა დანაშაულის ჩადენაში ეჯიბრებით და ისიც სამშობლოს მიმართ იმ დროს, როცა თქვენ ამ ჯიბრით მტერი უხვად სარგებლობს.

ჯერ იყო და **თურქეთის მიშველება მენშევიკებს უნდოდათ რუსეთის წინააღმდეგ და მათ ამისათვის არტაანი დაუთმეს, მაგრამ თურქეთმა მოატყუა მენშევიკები: არტაანიც წაიღო და არც მიეშველა.**

ეხლა თქვენ განგიზრახავთ **იმავე თურქეთის მიშველება იმავე რუსეთის წინააღმდეგ** და არტაანს ხომ ველარ მისცემთ, ის უკვე მიცემულია, მაშასადამე თქვენ ახალციხე - ახალქალაქ-ბათუმი უნდა დაუთმოთ იმ სამსახურის გაწევისათვის, რომლის მიღებასაც თქვენ თურქეთისაგან მოელით.

და რათ გგონიათ რომ თქვენც არ მოგატყუებთ? რომ თქვენგანაც არ წაიღებს და არც მოგეშველებათ... ან მოსაშველებელი რაღა გექნებათ, როცა მფარველად გინდათ.

ღენერალმა უნდა იცოდეს რუსეთის მაგალითით მაინც, რომ „მფარველი" სამხედრო და პოლიტიკურ ენაზე ნამდვილი ბატონ-პატრონია ფაქტიურად იმ ქვეყნის, რომლის მფარველადაცაა. თურქეთთან პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობა კავკასიას პირველ დღესვე „თურქეთის მანჯუკოდ" გადააქცევს, სადაც ითარეშებენ ეშალონები და სამუდამოდ წალეკავენ მის არსებობასაც.

არა, ეს არ იქნება!

……………………………………

ერი თავის აღდგომის ხანაში შეყვარებულისავით გატაცებულია თავის წარსულისადმი.

ის თითეულ ადგილს, თითეულ ქვასა და ხეს, სადაც და რომელთანაც ყოფილა, სადაც და რომელთანაც მის ძლიერებას უსუნთქია წარსულში — იმას დაეძებს მთელი თავისი გატაცებით, მთელი თავის შეგნებით, მთელი თავის ძალღონით...

ამ ერში კი უფრო ,მეტად გატაცებული უფრო მეტად შეყვარებული, უფრო მეტად განუხრელ-გაუტეხელი მისი ხელმძღვანელი ნაწილია... და სადაა ეს დიდი, უკვდავი შთაგონება სამშობლოს აღდგენისათვის!

აი ამის უქონლობა კაცს ეროვნულ მოძრაობიდან გარედ რიცხავს, გერად აცხადებს, ართმევს ქართველის სახელსაც..

ამის უქონლობა სამწუხაროზედ მეტია.

ინდო ინასარი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲛᲣᲖᲐᲠᲐᲓᲘᲖᲛᲘ

3

ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ

(კავკასიური პოლიტიკის ორგანიზაცია)

ᲬᲘᲜᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ

როცა იდეოლოგიური რეჟიმი „გაქვავებული" იყო მონარქიზმის სახით, მაშინ ამა თუ იმ ქვეყნის იდეოლოგიურად მორჯულების როლს რელიგია თამაშობდა.

თუ რელიგიის გამოცვლა ან ვერ, ან აღარ იყო შესაძლებელი, მაშინ უკვე ძლიერი სუსტს ერის „მონარქს" უცვლიდა და ტახტზა აჰყავდა ის, ვისაც მისადმი მეტ კეთილ განწყობილებას [illegible].

მას აქეთ ბევრი დრო დაიღვარა, საუკუნეები საუკუნეებს მისდევენ და ეს ძირითადი აზრი მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში ისევ ისე ძალაში რჩება ფორმის ამა თუ იმნაირ შეცვლით.

ამ აზრით მეფეების ცვლას კავკასიაში, კერძოდ საქართველოში სათვალავი არა ჰქონდა.

ამ აზრითვე არის შემოსული კავკასიაში ორივე გაბატონებული რელიგია — ქრისტიანიზმიცა და მაჰმადიანიზმიც.

რომის იმპერია წარმართ აღმოსავლეთთან ბრძოლის დროს უდიდეს ადგილს უთმობდა თავის „იდეოლოგიურ მახვილს" — რელიგიას და ცდილობდა რომ იგი გაევრცელებინა თავის უშუალო მტრის უკმაყოფილო ერებში, რათა იგინი მტკიცე დასაყრდენ კუნძულებად გადაექცია. რომის იმპერიის ასეთ ცდის ფარგალში შედიოდა სპარსეთით უკმაყოფილო საქართველოც.

ისლამის სისხლითა და მახვილით გავრცელება ხომ საყოველთაოდ ცნობილია და კავკასიაშიც ხმლის ძალითაა შემოსული.

და აი, ძველად წესად ყოფილი „სასურველ მონარქის" ტახტზე აყვანა და „რელიგიით მორჯულება", ახლა შეცვლილია „სასურველ მთავრობის" შექმნითა და „პოლიტიკურ იდეოლოგიის მიღებინებით.

ძლიერი ერი დღეს სუსტი ერის დასამონებლად ან მთავრობას უცვლის, ან პოლიტიკურ იდეოლოგიას, რაც თავისთავად მთავრობის შეცვლასაც გულისხმობს.

და კავკასიაში რუსეთი ამ შეცვლილი ფორმით არის შემოჭრილი.

მაშ საერთაშორისო ძალთა ურთიერთობაში მუდამ არსებულ და მუდამ მომქმედ ორი ფაქტორის დადგენა შეიძლება:

I. **ძლიერ ერთა ფიზიკური ძალა და**

II. **მათი იდეოლოგია.**

ამ ძალთა მეტოქეობა მსოფლიო ისტორიის შემოქმედებითი პროცესია, რომლისათვისაც კავკასია მუდამ მგრძნობიერ ადგილს წარმოადგენს თავის დიდ სტრატეგიულ მდებარეობითა და მდიდარი ბუნებით.

ე. ი. ან ეპყრო რომელიმე მათგანს იგი და მის შენარჩუნებას ლამობდა, ან ხელში ჩაგდებისათვის ჰქონდა ბრძოლა გამართული. ორივე შემთხვევაში კავკასიის მკვიდრთა მიმართ ყველა დროის ყველა ძალას ჰქონდა ერთი დევიზი: **„დაანაწილე და იბატონე".**

და არც არაფერს არ ზოგავდნენ რომ კავკასია არ დაენაწილებინათ და ამ ნაწილებში შული, მტრობა არ ჩამოეგდოთ, შეურიგებლობა და სისხლიანი შეტაკებები, თავდასხმები არ მოეწყოთ მათი როგორც ფიზიკური, ისე სულიერი შესაძლებლობის მოსაქანცად და ჩასაკლავად. და სრულიად ბუნებრივია, რომ მხოლოდ ამ უცხო ძალთა ძალდატანებით კავკასიას არ ჰქონდა ის, რაც მის დამოუკიდებლობის **საძირკველი** იყო — მას არ ჰქონდა მთლიანობა თავის ფიზიკურ და ზნეობრივ ძალების... (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მე 11—12 საუკ. **გაერთიანების ხანას,** როცა კავკასია თვით იყო მეტოქე და შემომქმედი ძალა მსოფლიო ისტორიაში)

და აი, ძლიერების სათავედ ჩვენ ეს კავკასიის მთლიანობა მიგვაჩნია, მისი პოლიტიკური ორგანიზაცია.

რომ ეს შეძლებელი გახდეს საჭიროა:

1. ძლიერ ერის ფიზიკურ ძალას **გართიანებულ კავკასიის ფიზიკური ძალა დაუპირდაპირდეს** და
2. მის იდეოლოგია — **კავკასიური იდეოლოგია.**

პირველი მეორიდან გამომდინარეობს ე.ი. თუ **სულირად** გაერთიანდებიან კავკასიელები, იგი გამოიწვევს მათ ფიზიკურ გაერთიანებასაც.

ამრიგად ჩვენ არსებითად ერთი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი — **მონახვა ერთი კავკასიური იდეოლოგიის.**

მაგრამ შესაძლებელია სულიერად გაერთიანებული ხალხებიც, თუ რომ მათ საკმა ფიზიკური ძალა არ შესწევთ ძლიერმა ერმა ძალდატანებით ცალკ-ცალკე ამყოფოს, არ დაუშვას მათი გაერთიანება. უთუოდ. და აი, ასეთ შემთხვევისათვისათვისაც უნდა გამოინახოს როგორც მეტოქე, ისე თავდაცვის მაძიებელ ერებში **ისეთი მოკავშირე, რომლის სასიცოცხლო ინტერესები ითხოვდნენ კავკასიის დანაწილებას კი არა, არამედ მის სრულ გაერთიანებას და ეს იქნბა მეორე გადასაწყვეტი ამოცანა.**

ამის და მიხედვით ჩვენი შრომაც ორ ნაწილადაა გაყოფილი:

I. **კავკასიური იდეოლოგია და**

II. **კავკასიის მოკავშირე.**

მასალაც კავკასიის უფრო იმ ნაწილიდანაა, მოტანილი, რომელიც მეტ ისტორიულ გამოცდილებას იძლევა.

ჩემი ღრმა რწმენით **კავკასიელთა გაერთიანების პროცესი „ორი თავიდან" უნდა მიმდინარეობდეს.** ე.ი. უნდა ვეცადოთ რომ ცალკე თითეულ კავკასიის ხალხში **შიგნით** თანხმობა და გაერთიანება ჩამოვარდეს და ასე გაერთიანებულნი მერე ურთიერთ გაუერთიანდნენ.

ეს ერთი თავი.

მაგრამ ამავე დროს ის კავკასიელები, რომლებიც მოწოდებულნი არიან მთელი თავიანთი შეგნებით გაერთიანებისათვის და **„კავკასიელობას"** წინ აყენებენ სხვა ყველაფერზე — დაუყონებლივ უნდა ერთიანდებოდნენ და ჰქმნიდენ ძლიერ კავკასიურ მიმდინარეობას.

ესაც მეორე თავი იმავე საკითხის.

მართლაც, **ორივე თავზე ცეცხლ წაკიდებულ ხეს ქარმა რომელ მხრიდანაც არ უნდა დაუბეროს — წვის პროცესი მაინც ხისკენ წავა.**

ასეც კავკასიის გაერთიანების პროცესი ზოგად კავკასიელობის მხრიდან დაიწყება თუ კერძო მის შემავალ ხალხებიდან — მაინც კავკასიისაკენ იქნება მიმართული. რომელ თავსაც არ შეუშალოთ ხელი, კავკასიის გაერთიანებისათვის ხელშეშლაა. ვინც არ უნდა იყოს შემშლელი, შინაური თუ გარეშე, პიროვნება თუ პარტია — იგი კავკასიის მტერია.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ის, რასაც დრო ვერ ერევა და ვერც აჩუმებს მის სტიქიას, ეს არის — **ინსტიქტების ქვეყანა.**

ადამიანები ინსტიქტიურად იცავენ **სამშობლოს საერთო საზღვრებს.**

საერთოს დაცვის გრძნობა ვით ქარიშხალი მოვარდება ხოლმე მათში და ერთი ხმით, ერთნაირ ფეხის აყოლით, ერთნაირ განწყობილებით სულერთიანად მიერეკება ერთ ადგილის— სამშობლოს საზღვრებისაკენ. და ბუნებრივიცაა.

ეს არის საუკეთესო ფორმა დაცვის თავისივე თავის, თავის სახლკარის, ოჯახის, ღირსებისაც. და ეს ბუნებრიობა უნდა გამოვაღვიძოთ კავკასიელებშიც: **კავკასიური ინსტიქტით მოვარდნილ** გრძნობებმაც ერთის ხმით, ერთნაირ გულის ძგერითა და გუნება-განწყობილებით უნდა გაიტაცონ ყველა კავკასიელები სამშობლო კავკასიის საერთო საზღვრებისაკენ. ეს იქნება უძლეველი ფორმა მათი თავდაცვისა და ეროვნული ღირსების.

„კავკასია უწინარეს ყოვლისა"! ყველგან, ყველაფერში, ყველასათვის იყო და დარჩება უდიდეს მოწოდებად კავკასიელებისადმი **კავკასიის დედა-მიწის!**

1-ლი ნაწილი

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ

საუკუნეთა სანუკვარი

არიან ისეთი საკითხები, რომლებზედაც საუკუნეები ფიქრობენ, საუკუნეებს სწყურიათ მათი განხორციელება, მათკენ ილტვიან, მათთვის ლამობენ მთელი თავიანთი ულმობელობით და ისინიც ძალიან ხშირად დამარცხებულნი რჩებიან.

საუკუნეების ქვეშ, რათქმაუნდა, მრავალ თაობათა ძალ-ღონე იგულისხმება — მათი ფიქრი, მათ გულნადებისათვის გაწეული მძიმე ბრძოლები, მათი გამოცდილებისა და დაკვირვების გადაცემა შემდეგ და შემდეგ თაობათათვის ერის ერთი და იმავე წყურვილის დასაკმაყოფილებლად.

ამიტომ ძალიან დიდი წინდახედულობა გვმართებს, დიდი გულისყურის დათმობა და მიუდგომლობის გამოჩენა, რომ ჯერ თვით საუკუნეთა თუ ჩვენ წინაპართა განუწყვეტელი წყურვილი ჩვენ წყურვილადაც გადაიქცეს. მერე დიდის მოწიწებით უნდა მივიდეთ მამა-პაპათა მიერ გაწეულ საქმიანობის თითეულ სუნთქვასთან, რომ გავიგოთ ამ ხნის მანძილზე რა გა-

„ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ" ᲓᲐ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐ

სულიერად და ქონებრივად ღარიბი ქართული ემიგრაცია ერთობ მდიდარია ბეჭდვითი გამომცემლობით და უნებლიეთ ყველა ისინი გამცდარ ყანაში ამოსულ ეკლებსა ჰგავან.

მხოლოდ ამ „ეკლებიდან" განმარტოებით ჟურნალი „მხედარი" სდგას. თუ ოდესმე მართალი ყოფილა თქმა: „საქმე პატრონსა ჰგავსო", ეს სწორედ „მხედარზე" ითქმის.

იუნკრებმა თავიანთი გმირული ბრძოლით სოციალისტურ ტალახში გადაგდებულ ქართველი ერის მახვილი და სახელი გადაარჩინეს და ამით ისევ საპატიო ადგილი მისცეს ისტორიაში.

„მხედარიც" აქ ემიგრაციაში შულში, ერთმანეთის სვრაში ჩავარდნილ ქართულ ბეჭდვითი სიტყვას სახელსა და ღირსებას უნახავს.

„მხედარის" მიმოხილვა საპასუხისმგებლოა — იგი სამხედრო დარგის ღრმა ცოდნას მოითხოვს, მხოლოდ რამდენადაც იქ საერო მოტივიცაა შეტანილი, ამდენად ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ ორიოდე სიტყვა გამოვსთქვათ.

ღენერალ ჩხეიძის წერილების, კერძოდ მათი **„სახელმწიფოს დაცვის საქმის"** წაკითხვის შემდეგ ველარ ვიტყვით, რომ ემიგრაციაში კაცი არა გვყავსო.

„სახელმწიფო დაცვის საქმე" ქართულ ეროვნულ აზროვნებისათვის იშვიათი განძია, რომელიც თავის **დანიშნულებით** ძალიან გვაგონებს პროფ. **ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრებს".**

ივ. ჯავახიშვილი უყურებდა რა საქართველოს მმართველად მოვლინებულ „ქართული წიგნის უკულმა დამჭერთ", წინაგრძნობდა მოსალოდნელ ეროვნულ კატასტროფას და თავის „საქართველოს საზღვრებში" საზღვრებზე ცოდნას აწვდიდა, ისტორიულ მაგალითებით, აზრსა და სიფხიზლეს ულვიძებდა, რომ მტრები საქართველოს დიდი ხნით არ დასტოვებდნენ თავისი თავის ამარა და საზღვრები გაემაგრებინათ.

დიდი ქართველის მოწოდებისადმი ყრუდ დარჩა მმართველი წრე, საქართველო დაიღუპა.

ეხლა **ღენერალი ჩხეიძე** უყურებს, რომ ქართველებმა საქართველოს დაღუპვის შემდეგაც ჭკუა ვერ ისწავლეს და **გულდაჭრილი ერის მომავალი ბედის წინაგრძნობით თავის ღრმა აზროვან „სახელმწიფოს დაცვის საქმე"-ში განგაშს სცემს, ქართველთ მთლიანობისაკენ მოუწოდებს:** „იქ სადაც პარლამენტი 10—12 და ზოგჯერ 20 პარტიიდან შესდგება, სადაც არ არის ურთიერთის ნდობა, სადაც ყველას თავისი შეხედულება საუკეთესოდ მიაჩნია და თავისი პარტიაც, **ერის ერთად ერთ მხსნელად ძნელია წარმოვიდგინოთ სამხედრო საკითხში ეროვნული მთლიანობა".** (იხ. „მხედარი" № 22, გვ. 21).

„თუ ერს სურს თავისუფლება და სიძლიერე, თავის პოლიტიკური ცხოვრება უნდა დააყენოს პარტიათა მაღლა და თუ არ გამოჩნდება სათანადო ბელადი, მართველი ორგანო იმ სახით მაინც შეიქმნას, რომ თავისუფალი იყოს პარტიათა ზეგავლენიდან და მართავდეს მთელი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ერი რომელიც ამას ვერ შეიგნებს — პირველ ომშივე დაიღუპება." („მხედარი" იქვე).

აღსანიშნავია სხვათა წერილებიც, უფრო კი **ბ. ვ. ნ—ლის,** რომლის ღრმა ცოდნა-დაკვირვება და შემოქმედებითი ბუნება საგანს მისაწვდომს და და წარმტაცს ხდის.

საერთოდ ყველგან მოსჩანს დარბაისლობა და პასუხისმგებლობა, რაც ჟურნალის დიდი ღირსებაა.

ქართულ სამხედრო ხელოვნების აღორძინება დაწყებულია და **მის ამაღლებაში ეროვნულ მთლიანობასაც პატარა ადგილი არ ექნება.**

ანდა აბული

კეთებულა, **რად რა ვერ გაკეთებულა** და ჩვენგან კიდევ რა მსხვერპლს მოითხოვს მისი გამარჯვებით დაგვირგვინება.

მაგრამ რაიყო და რა არის საუკუნეთა სანუკვარი ანუ ერის ჯერამც დაუკმაყოფილებელი წყურვილი?

ეროვნული გაერთიანება.

ეროვნული გაერთიანება ყველა ერის საარსებო მოთხოვნილებაა. მით უფრო ეს მცირერიცხოვან ერებზე ითქმის.

მხოლოდ ქართველ ერისათვის კი გაერთიანების მოთხოვნილება ერთი ათად დიდდება და დაუკმაყოფილებელ წყურვილად იქცევა იმიტომ, რომ მცირე რიცხოვანი რო არის—იგი მტერ მრავალიცაა და ამასთან თავის სამშობლოს მთაგრეხილებითა და თემური ყოფის ხანგრძლივ ტრადიციით დაქუცმაცებული და ერთი მეორისაგან დაცილებულია. ყველა მათი ცალცალკე თუ ერთად დაძლევა უძნელესს, მაგრამ მუდამ გადაუდებელ საქმეს წარმოადგენდა. და ბუნებრივია, რომ ჩვენ თაობასაც თავის მთავარ საქმედ ერის იგივე დაუკმაყოფილებელი წყურვილი — ეროვნული გაერთიანება უნდა გაეხადა.

ისტორიული სინამდვილე

ჩვენ არ ვიცით ქართველი ერი თავის უძველეს სამშობლოში — ქალდიაშიც იყო ისევე თემებად დაყოფილი, როგორც ჩვენ მას შემდეგ ვხედამთ — თუ ეს შედეგია იმ დიდი ეროვნულ კატასტროფის, რომელსაც სამშობლოს დატოვება და ერის სხვა ადგილებში გადასახლება გამოუწვევია. ისტორიულ მეცნიერებას ამისათვის ჯერ ნათელი ვერ მოუფენია. მაგრამ ის, რაც გარკვევით ვიცით, ისიც საკმაო ძველ დროს ეკუთვნის და აი, იმ ძველ დროიდანვე ქართველი ერი თითქმის ისევ ისე დაქუცმაცებულ - დაყოფილია, როგორც დღეს არის.

სულ პირველად ასურულ წყაროებში გვხვდება ცნობები ქართველების შესახებ. ასურეთის მეფეთა ძეგლების წარწერებში ათას წელზე ადრე ქრისტეს დაბადებამდის მთელი რიგი ქართულ თემების: მუსკების, კასკების, თუბალების, იხსენიება თავ-თავიანთ მრავალ მეფეებითა და დიდძალი მხედრებით.

მაგალითად, ტიგლატ-პილესარ I-ლი თავის წარწერაში, რომელიც 1100 წელს (ქრისტეს დაბადებამდის) ეკუთვნის, ამბობს:

„ჩემ მეფობის დროს, თავის ძლიერებით მოქადული 20,000 **მუსკი** (მესხი) და მათი ხუთი მეფე, რომელნიც ბრძოლის ველზე ჯერ ვერც ერთ მეფეს ვერ დაემარცხებინა, კუმუხში ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრესო“.

ამავე ტიგლატ-პილესარ I-ის სხვა წარწერაში მოხსენებულია **კასკები** (კახელები).

მეფე სალმანასარ მეორის წარწერაში, რომელიც მეცხრე საუკუნეს (ქრ. წ.) ეკუთვნის **თუბალების** (იბერები, ივერია) 24 მეფეა დასახელებული.

ეს გარემოება ერთობ ნათელს ჰფენს იმას, რომ ქართველი ერი ათასი წლის წინადაც ქრისტეს დაბადებამდის არ არსებობდა საერთაშორისო ურთიერთობაში როგორც **„ერთი ეროვნული სახელმწიფოებრივი მე“** მთელი თავისი სულიერი და ფიზიკური ქვეყნით.

არა, იგი დაყოფილ დაქსაქსული იყო მრავალ თემებად და ერი — ყველა მათი პიროვნება — მათ ნათესაობაში ღა სჩანდა. ე.ი. ასურელებმა და სხვებმაც იცოდენ, რომ მუსკები, კასკები, თუბალები და სხვანი ერთმანეთის მონათესავე ხალხები იყვნენ.

აი ამ „ნათესაობით“ ცოცხალს, მაგრამ უნებისყოფო, უორგანიზაციო, უსახელმწიფო, და უმოქმედო ქართველ ერს კაცბრიობა მაშინ არ იცნობდა და მის ცალკ-ცალკე თემების სახელი კი ძალიან შორს განთქმული იყო ძლიერებითაც მხედრობითაც, მადნეულობის დამუშავებითაც და მეურნეობითაც.

ეს დაქსაქსულობა შემდეგაც გაგრძელებულა. მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინ ბერძნების მწერალს ჰეროდოტეს აქვს აღნიშნული ქართული თემები.

მეოთხე საუკუნის დასაწყისს ბერძნების გამოჩენილ ისტორიკოს ქსენოფონტეს მიერ მოცემულია აღწერა ქართველების შესახებ.

მერე პირველ საუკუნეში უკვე ქრისტეს შემდეგ სტრაბონმა დაგვიტოვა ძვირფასი ცნობები.

ყველა ამ ბერძნულ წყაროებში ქართველი ერი ისევ-ისე თემებად დაყოფილია, მხოლოდ მათ **საბინადრო** გამოუცვლიათ — ასურულ წყაროებში ნაჩვენები მცირე აზიის შუა გული ადგილები მიუტოვებიათ და ახლა შავი ზღვის ნაპირებზე და კავკასიაში დასახლებულან. ქრისტეს დაბადების შემდეგ ხომ ჩვენი წყაროებიც ნათლად მოწმობენ ერის თემებად დაქუცმაცებას რომელიც დიდ ხანს გრძელდება. მხოლოდ არაბთა ბატონობის უღლის ქვეშ თანდათან ილვიძებს ეროვნული შეგნება და ეროვნულ მთლიანობისადმი მიდრეკილება, რომელთა ზრდასა და ამაღლებას დიდათ შეეშველა უცხოეთში მყოფი ქართველთა მონასტრებიც. და რა? ამ საყოველთაო სულისკვეთებითაც „კუთხურად“ სარგებლობა მოინდომეს: **გაერთიანება ყველას უნდოდა, მხოლოდ თითეულ თემს სურდა, რომ ქართველ ერის გაერთიანება მისი მეთაურობით მომხდარიყო.**

ასე ფიქრობდა ქართლიც, კახეთიც, იმერეთიც (აფხაზეთი), მესხეთიც.

ამ ნიადაგზე დაუსრულებელი ბრძოლები ჰქონდათ ერთმნეთში სწორედ მაშინ, როცა არაბეთი დასუსტებული იყო და მათი გაერთიანებული ძალა არაბთა ბტონობას საშინელ რისხვად მოევლინებოდა. მაგრამ უფრო საოცარი ის არის, რომ თურმე მაშინაც, მეათე საუკუნეში ყოფილა **„სომეხ-ქართველთა უნიონი“**, ყოფილან ისეთი ქართველები, რომლებიც ფიქრობდნენ **სომხების დახმარებით თავის მოძმეებზე გაბატონებას.** სომხები კი მოხერხებულად სარგებლობდენ თავქარიან ქართველების ტუტუცობით და მათი შინაურ საქმეებში ჩარევით თითონ ლამობდენ მთელ საქართველოზე გაბატონებას. ამავე მიზნით ზოგნიც არაბთ უდგებოდნენ მოქიშპე, მაგრამ მოძმე თემის დასასუსტებლად. და ყველა ეს ხდებოდა **„გაერთიანების“ სახელით.**

თემობრივი შუღლი და არევ-დარევა ამაზე შორს ველარ წავიდოდა.

აი როგორი იყო ჩვენი ისტორიული სინამდვილე გაერთიანების ხანამდის.

ისტორიული გადაწყვეტილება

ქართველი ერი მთლად განწირული არ აღმოჩნდა.

მის გულშემატკივართ უთუოდ საქართველოს ყველა კუთხეში — ქართლშიც, კახეთშიც, იმერეთშიც (აბხაზეთი), მესხთშიც ჩუმი, მაგრამ დაუღალავი მუშაობა ექნებოდათ გაჩაღებული.

თუ არა მათი დაუდგრომელი მოქმედება ქართველ ერში გაერთიანებისადმი წყურვილი ისე მაღალ დონეზე ვერ ავიდოდა. სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს ცნობები ყვლა ამ წრეების მუშაობის შესახებ, მხოლოდ ისტორიამ ერთ მათგანის, კერძოდ ქართლის დიდებულთა წიაღში მომქმედი წრის არსებობა შემოგვინახა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გაერთიანების განხორციელბაში. ამ წრის მეთაურს იოანე მარუშის ძეს მართლაც გენიალური გეგმა მოსვლია აზრად ერის **კუთხურ შუღლიდან** გამოყვანისა და გაერთიანებისათვის.

იმ ხანებში ტაოს (მესხეთი) მფლობელი **დავით დიდი კურაპალატი** ვითარცა უშვილო მემკვიდრედ თავის ნათესავს ბაგრატ გურგენის ძეს ზრდიდა, რომლის პაპა ბაგრატ მეორე (რეგვენად წოდებული) იყო მეფე ქართლ-აფხაზეთის (იმერეთი). ასე რომ **ერთის მხრივ ბაგრატი იზრდებოდა მესხეთის მემკვიდრედ, მეორე მხრივ — მას უფლება ჰქონდა ქართლ-იმერეთის ტახტის მემკვიდრეც** გამხდარიყო.

და რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი მეფედ გამოცხადება თავისთავად საქართველოს სამი დიდი თემი — ქართლ-იმერეთ-მესხეთი ერთიანდებოდა. მეფედ გამოცხადება კი შეეძლო იმას, ვისაც ძალაცა და გავლენაც ჰქონდა. ასეთი იყო მხოლოდ დავით დიდი კურაპალატი, კაცი დიდათ განთქმული საბერძნეთში და მახლობელ აზიაშიც სამხედრო ძლიერებით, მტკიცე ხასიათითა და მაღალი ზნეობით. და მარუშის ძეც დაუღალავ ფიქრმა გაერთიანებაზე მასთან მიიყვანა. დავით დიდ კურაპალატს ძალიან მოეწონა ქართლის დიდებულთა წადილი და თავის ძლიერებით ეწვია კიდეც.

გაერთიანების მოღვაწენი წინ გაეგებნენ და **უფლის ციხე** გადასცეს. ამასთანავე ბაგრატ გურგენის ძე მეფედ გამოცხადებულ იქნა მთელ საქართველოსი.

აი დიდი სიტყვა თქმული (975 წ.) **დიდ ქართველის** დავით დიდ კურაპალატის მიერ დიდ საპასუხისმგებლო მომენტში: „ესე (ბაგრატ) არს მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი და **მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე** (ხაზი ჩვენია ი. ი.), ამას დაემორჩილენით ყველანიო“.

ასე მარტივად გადაწყდა დიდი, თაობათათვის თავსატეხი საკითხი, რომელსაც ესოდენ დიდი შედეგები ჰქონდა ქართველ ერის ისტორიაში.

რამდენ მოვლენის **ბედნიერ დალაგებას** ვხედამთ ჩვენ აქ. როგორ არ გავს ეს დიდი გადაწყვეტილება ისტორიის პროცესის ბუნებრივ სვლის შედეგს. მართლაც ბედს უნდა სდომებოდა, რომ მსხეთის მეფე დავით დიდი კურაპალატი უშვილო ყოფილიყო, რომ მას თავის მემკვიდრედ ის აეყვანა, რომელიც ქართლ-იმერეთის მემკვიდრეც იქნებოდა… რომ ამ მემკვიდრის პაპაც, მეფე ქართლ-იმერეთის რეგვენი ყოფილიყო, და ბოლოს, რომ საქართველოს წმინდა ადგილის „უფლის ციხის“ მფლობელთაც აზრად მოსვლედათ გეგმა „ბედნიერ მემკვიდრის“ საქართველოს მეფედ გამოცხადების.

ყველა ამას შემთხვევას ვუწოდებდით, რომ ქართველ ერს საუკუნეების მანძილზე ყველა ხელსაყრელ მომენტისათვის დაჟინებით არ ედარაჯნა ეროვნულ გაერთინებისათვის გამოსაყენებლად.

შემთხვევა კი არა, დიდი ისტორიულ პროცესის ბედნიერი დალაგებით გონივრულად სარგებლობის აქტია.

ეს ზედმეტად მოწმობს იმას, თუ **ქართველი ერის გულისყური როგორი გამახვილებით როგორ ყოფილა მიპყრობილი ერის გამაერთიანებელ ყველა მოვლენისადმი.**

რათქმაუნდა გაერთიანება ამით დაიწყო და კი არ გათავდა. ჯერ ერთი, საქართველოს უდიდესი თემი — კახეთი გაერთიანების გარედ დარჩა და მერე ის ადგილები, რომლებიც „ტფილისის საამიროს“ შეადგენდენ.

ყველა ამისა და თვით გაერთიანების შენარჩუნებასაც დიდი ეროვნული ძალა უნდოდა.

მალე ეს ძალაც **დავით აღმაშენებელის** სახით მოევლინა და დაწყებული გაერთიანებაც ქართველი ერის ძლიერების აღდგენით დაგვირგვინდა.

რა ვერ გაკეთებულა?

საქართველოს ძლიერების ხანაშიც მე-12 საუკუნეს **მთელი ეროვნული მიწა-წყლის გაერთიანება მაინც ვერ მოხდა: სათანადო მზრუნველობა ვერ გაეწია ლაზეთს და ვერ იქნა დედა-სამშობლოსადმი დაბრუნებული.** და ამის შესაძლებლობა არამც თუ იყო, არამედ, როგორც გადმოგვცემს მატიანე — ქართველთა ლაშქარს შავი ზღვის პირით წაუღია **ლაზიკა-ტრაპიზონი, ლიმანი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორი და არაკლია** და იმის მაგიერ რომ ყველა ეს მამა-პაპათა სისხლით მორწყული ბერძნების მიერ მითვისებული ქართული მიწები უკან დაებრუნებინათ — ტრაპიზონის სამეფო დაუარსებიათ და უცხოელ კომნენისათვის გადაუციათ ლაზიკითურთ.

მაშასადამე ქართველი ერის ერთ-ერთი დიდი, ძირითადი თემი, **ლაზეთი და ტრაპიზონის სანახები** ბერძნების ბატონობისაგან ვერ განთავისუფლებულა და ოქროს ხანაშიც ეს დიდი ეროვნული საქმე ვერ გაკეთებულა. მაგრამ მთავარ **ეროვნულ შეცდომად** გაერთიანების ხანისათვის მაინც ეს არ უნდა ჩაითვალოს. სულ დიდი უბედურება და შეცდომა ის იყო, რომ **„თემური დაყოფა“** ანუ კუთხურობა, ძირიან-ფესვიან ვერ ამოთხვრეს და ერი საბოლოოდ ვერ გაანთავისუფლეს **დამშლელ ძალისაგან.**

ათასწლოვან ტრადიციით ძირგამდგარი თემური დაყოფა თუ კუთხურობა ყველაზე საშიშ, აუღებელ „მტრის ციხეს“ ჰგავდა. ის ერთად ერთი იყო მიზეზი მუდამ, რომ ერი სხვის მონობაში ვარდებოდა, რომ ერი ცოტავდებოდა, რომ ერი ვერ ახერხებდა გაერთიანებასა და აღორძინებას. და როცა იძლია, როცა გაერთიანებულ ერს ხელში ჩაუვარდა ეს „კუთხურობა“ რატომ არ უნდა აღმოფხვრილიყო ისე, რომ ველარასოდეს ვერ გაცოცხლებულიყო.

მაგრამ არა, იგი წარმომდგარ და წინ წამოწეულ ერის უკან მოექცა მხოლოდ „სადროშოების“ სახით და თუ აქნობამდის **ერი** იყო თემურ დაყოფის ჩრდილში, ახლა უკვე **თემები** ერის ჩრდილში რჩებიან და **საჭირო იყო შემთხვევა, რომ მათ ისევ თავები წამოეყოთ და ამ შემთხვევამაც არ დაიგვიანა:** მონღოლთა პირველი შემოსევისას ტახტის მემკვიდრე ორი — **კანონიერი და უკანონო დავითის** გამო ატეხილ დავამ **„თემებს საყვირი მისცა“.**

უნდა გენახათ საქართველოს დიდებულთ, ოქროს ხანისა და რუსთაველის ქვეყნის შვილთ შორეულ ჩრდილოეთში ველურ მონღოლთა მეფის კარავის წინ რა დამამცირებელი შუღლი და ჯიბრი ჰქონდათ ერთმანეთში… როგორ უნდოდა ერთ თემს მეორისათვის ფეხი დაედგა, მეფედ ის დავითი გამოეცხადებინა, რომელიც თითონ უნდოდა, რომ მერე ნიში მოეგო, ეთქვა: „ნახე მე გაჯობეო“.

თითეული თემი თავის მოძმეზე გამარჯვებით იყო მუცელ დაგვრემილი და ის, რომ ქართველ ერისათვის სხვა ერს — ამ შემთხვევაში მონღოლ ერს არ ეჯობნა, ფიქრადაც არ მოსდიოდათ. საქართველოს დამონებისა და დასუსტებისათვის მტერი ამაზე უკეთესს რას ისურვებდა და, მონღოლმაც, დაინახა რა, თავის კარწინ **მუშტით მიწეული თემები ერთმანეთზე ღიმილით დაამშვიდა: „ჩემი ღმერთის დიდი მოციქულის მაჰმადის რჯული** მრავალცოლიანობის ნებას იძლევა და ჩვენ კანონებით თქვენი მეფის (თამარ მეფის შვილი) ორივე ცოლი კანონიერია და მისი ორივე შვილიც თანასწორუფლებიანი ტახტის მემკვიდრენი არიან. რა კი მე მთხოვთ სამართალს, მე ორივენი მეფედ გამომიცხადებია და საქართველოც ორად გაიყოს ისე, როგორც თქვენ თითონ ხართ გაყოფილი. თითეულთ თქვენი მეფე ვეყოლებათო“. განუცხადა სამკვდრო სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ თემებს და კარავში შებრუნდა.

აბა რომელი თანამედროვე პოლიტიკოსს სჯობია ამ „ველურ“ მონღოლს. იმ დასაყრდენ პირველხარისხვან სტრატეგიულ ადგილს, როგორიც იყო კავკასია, ძლიერი და საშიში მტერი საქართველო წვეთი სისხლის დაუღვრელად შუაზე გააპო: აღმოსავლეთ და დასავლეთ-სამხრეთ საქართველოდ და ამით საშვილისშვილო შუღლი ჩამოაგდო. რეგვენი თემები ასეთ შედეგს არ მოელოდენ და თითზე იკბინეს, მაგრამ გვიანღა იყო — მონღოლთა **მეფის სურვილი** უკვე მტკიცე ბრძანება იყო, რომლის დარღვევა მხოლოდ ფიზიკურ ძალას ღა შეეძლო.

აბა სადაა აქ ან ეროვნული თავმოყვარეობა, ან ეროვნული ინტერესის შეგნება თუ რომელ მემკვიდრის პირადი ღირსება: ჭკუა, გამბედაობა უკეთესი იქნებოდა იმავე მონღოლებთან ბრძოლაში… ან აზრის მიხადვით კი არ იყვენ დაჯგუფებულნი, არამედ თემებად.

მაგრამ სულ ყველაზე სავალალო ისაა, რომ თავიანთი შინაური საქმე მონღოლთა კარზე რათ მიიტანეს?

რა თქმა უნდა, აქ **ქართველი ერი აღარაა.**

მონღოლთა მეფის კარვის წინ თავწამოყოფილი თემები მოსულიყვენ და გაერთიანებულ მშვენიერ საქართველოს დაშლა - დანაწილებას ითხოვდნენ… და მერე აკი დაიშალა კიდეც **შვიდ სამეფოდ.** მაშასადამე **ერის სულ დიდი საშვილისშვილო საქმე თემურად დაყოფის — კუთხურობის ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა ეროვნულ სახელმწიფო ცხოვრებიდან ვერ გაკეთებულა ვერც გაერთიანების ხანაში.**

სხვა ყველა ერსაც ჰქონია „კუთხურად დაყოფის სენი“ მაგრამ მათ სასტიკად უბრძოლიათ მის წინაალმდეგ და განთავისუფლებულან.

ჯერ კიდევ რამდენიმე ასი წლის წინეთ იტალიის გაერთიანებამდის მისი სულ დიდი შვილი გენიოსი დანტე დაშუცმაცებულ სამშობლოს გაერთიანების ჭმუნვით იყო შეპყრობილი და მისთვის იღწვოდა.

რკინის ნებისყოფის მფლობელმა ბისმარკმაც მთელი თავის დიდი შემოქმედებითი უნარი გერმანიის ეროვნულ გაერთიანებას შეალია…

და დღეს ჰიტლერი ამთავრებს იმას, რაც ბისმარკს დარჩა დაუმთავრებელი — ათას წლობით დაშორებული ავსტრია ისევ გერმანელ ერის წიაღს დაუბრუნა.

თანამედროვე გერმანიის მაგალითი ჩვენთვის ბევრის მთქმელია, თუ რომ გავიგონებთ.

(გაგრძელება იქნება)

ი. ი.

შენიშვნა

გაზ. „საქართველო“-ში. ბ. ვიქ. ცხაკაიას მოჰყავს დიდ ომში მონაწილე ქართველ ჯარისკაცის გმირობა, რომელსაც ავსტრიელებთან ბრძოლაში რუსი ამხანაგები სულ დახოცია და მარტოდ დარჩენილს კიდევ მასზედ მისული ცხრა ავსტრიელი მოუკლავს და თვითონაც დაღუპულა მტრის ხელით. რუსეთის მთავრობის ბრძანებით ეს გმირობა ჯარისკაცის სახელი-გვარით დაფაზე დაწერილი და მის თემში გამოკრული უნდა ყოფილიყო სამუდამო ხსოვნისათვის. ამ მხედრის ვინაობის შესახებ ბ. ვიქ. ცხაკაია ასეთ ცნობას იძლევა: „ერთი მათგანი იყო ქართველი **სურამის ახლო სოფლიდან“** (ხაზი ჩვენია. პ. ნ.). ეს შეცდომაა. იგი იყო **სოფელ ერკოტიდან** (ახალციხის მაზრა) **გვარად ბერიძე** ჩემი პირადი ნაცნობი და შორეული ნათესავი დედის ხაზით. დაფაც ჩვენ თემში — **ურაველში** იყო გამოკიდული. **ერკოტა** სამცხის ერთ-ერთი **არტაანის მიჯნასთან ახლო მდებარე სოფელია** და სურამთან საერთო სულ არაფერი არ აქვს. **გვარი ბერიძე** სამცხე-საათაბაგოში ძალიან გავრცელებულია, კერძოდ ერკოტაში მეტ-წილად ბერიძეები სახლობენ.

პირადი-ნაცნობი

ძველად თუ კუთხურ უთანხმოებაში ჩაფლულ, **სამეფოებად დაყოფილ ერის** გამაერთიანებელი **„ერთმეფობის იდეა“** იყო, დღეს პარტიულ შუღლში ჩავარდნილ, **პარტიულად დაყოფილ** იმავე ქართველ ერის გამაერთიანებელ ძალად ზეპარტიული **„მეფიცულობის იდეა“** უნდა იქმნეს.

(ძლიერების სათავე)

Le Gérant : A. Moullec.

Imprimerie de NAVARRE — 5, rue des Gobelins. Paris-13ᵉ.